ნიანგი

4
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი თავის ქალა მაეჭვებს, სურათი უნდა გადაგიღოთ!..
— აჰ! მაგი არ გამაგონოთ! ამას წინათ გადამიღეს სურათი და ტელევიზიით გამაშავეს!

ნახ. ა. ფულაძისა

— ამ საწყობს რად უნდა ამდენი კარი?
— გასანიავებლად!..

— უფროსო, ეს ზეგეგმითი საქონელია და განა მე არ მეკუთვნის?!

ადამიანი

პაროდია

იქნებ ხარისხი ვერ მოიპოვო
და კათედრამაც ვერ გუოს სვიანი! —
არ იწუწუნო, გული არ დაგწყდეს!
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!

თუ მეზობელმა იყიდა „ვოლგა“,
კურორტზე — სახლი დიდფასიანი,
შენ აგვისტოში ქალაქში დარჩი
და, გწამდეს, რომ ხარ ადამიანი!

იქნებ ძმაკაცი დიდ სკამზე დასვეს, —
ადგილი ნახა ბარაქიანი,
თუნდაც სალამი არ გითხრას, მაინც
გწამდეს, რომ შენ ხარ ადამიანი!

ცხოვრება მიქრის თავქუდმოგლეჯით!—
ვისთვის — ჩუმია, ვისთვის — ხმიანი!
ზოგ-ზოგნი წავლენ ვაიკაცებად,
შენ წახვალ, როგორც ადამიანი!

ელგუჯა ბახტაძე
(ქ. რუსთავი)

იღბლიანი მონადირე

ამ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს დედაქალაქში-ბინების უკანონოდ განაწილება-მითვისების ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, მაგრამ არადა არ მთავრდება „ბინებისმაძებელთა“ ლაშქრის შეტევები, არ წყდება მაკლერების ფუსფუსი.

თავის დროზე, 1944 წელს, ერთი ასეთი განცხადების წყალობით პატარა ოთახი მიიღო ძერჟინსკის ქუჩის № 19 სახლში **ქეთევან ფირცხალაიშვილმა.** შემდეგ მეორე განცხადებაც „ისროლა“ და მეორე ოთახიც მამალი ხოხობივით „ჩამოაგდო“. მართალია, მოხერხებულ მონადირეს მერე ერთი კარის გაჭრისათვის ორი კარის მეზობლისა და შვიდი სასამართლოს შემადგენლობის შეწუხება დასჭირდა, მაგრამ ამას რას დაგიდევდათ?! — თავისი ხომ მაინც გაიტანა?!

გავიდა ხანი და მადამოსული მონადირე 43 კვადრატული მეტრი ფართობის ბინასაც არ დასჯერდა — ორი განცხადება, რომ იტყვიან, გააშანშალა, სასხლეტს თითი გამოჰკრა და ალალბედად ისროლა, — იქნებ, მიზანში მოხვდესო! შეიძლება, ზოგიერთს გაუკვირდეს, ეს ხომ ფუჭი გასროლა იქნებოდა, კანონით საკმაოზე მეტი ფართის მქონე მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა არამც და არამც არ შეიძლებოდა, რაც უნდა განუკითხაობის დრო-ჟამი ყოფილიყოო?! მაგრამ ისე ყველა ნატვრა აგისრულდეთ, როგორც ქეთევანს განზრახული აუსრულდა!

1972 წლის 31 მარტს თბილისის **კალინინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომს გამოაქვს გადაწყვეტილება № 12,** სადაც შავით თეთრზე წერია: **„ფირცხალაიშვილი აყვანილი იქნეს კოოპერატიულ ბინათმშენებლობის აღრიცხვაზე ოთხოთახიან ბინაზე 4 სული: თვითონ, მეუღლე, შვილი და 1973 წლამდე დროებით ჩაწერილი ნათესავი (!), ძველ ბინაში მოქ. გიორგი დიმიტრის ძე თავბერიძის (მისი შვილის) დატოვებით 2 ოთახი 43 კვ. მეტრი“.** (აქაც და ყველგან სტილი დაცულია. — **ვ. კ.**)

რომ იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირაო, სწორედ ეს არის — მიიღო ახალი ოთხოთახიანი ბინის გარანტია და ძველი ოროთახიანი ბინაც შეინარჩუნა! სხვას, ალბათ, ოცნებაც არ შეეძლო ასეთ ბედნიერებაზე, მაგრამ მოხერხებულ მონადირეს წინ რა დაუდგება?! ფირცხალაიშვილი ბრაკონიერის სითამამით კიდევ ერთხელ იმარჯვებს ერთლულიან კალამს — თავის სურვილებს ორფურცლიან ქაღალდს ანდობს და შაშხანის ტყვიასავით ისვრის მიზანში:

— მე, როგორც სამამულო ომის მონაწილეს, ვეტერანს, პატივი მეცით და შეპირებული ოთხოთახიანი ბინა მომეცითო!

და, მართლაც, 1975 წლის 24 სექტემბერს, **კალინინის რაიაღმასკომს გამოაქვს გადაწყვეტილება 18/15,** სადაც (ისევ შავით თეთრზე) წერია: **„განევრიანებული იქნეს მოქ. ქეთევან გიორგის ასული ფირცხალაიშვილი პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ სესხის სახით გადმოცემულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ № 287-ში სამ ოთახზე სამი სული (თვითონ, მეუღლე, ქალიშვილი) როგორც სამამულო ომის მონაწილე“.**

აღმასკომის მაშინდელი ხელმძღვანელობა განსაკუთრებით უსვამდა ხაზს **ქ. ფირცხალაიშვილის სამამულო ომში მონაწილეობას,** რადგან კარგად იცოდა, რომ, დებულების თანახმად, 43 კვადრატული მეტრი ფართის მფლობელი სამი სული არც აღრიცხვაზე აყვანას და არც კოოპერატივში განევრიანებას ექვემდებარებოდა. ამით ფრთაშესხმული ქ. ფირცხალაიშვილი, რომელსაც **სამამულო ომში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა** და, როგორც კალინინის რაიონის სამხედრო კომისარიატი თავის 1980 წლის 14 ოქტომბრის № 3/215-ტ ცნობით ადასტურებს, **საერთოდ არ უმსახურია საბჭოთა არმიის რიგებში,** ხუთი წლის შემდეგ, როცა სართულების მიხედვით ბინების განაწილების ჟამი დგება, ისევ სამამულო ომში მონაწილეობას იშველიებს და გამარჯვებული მონადირის პრეტენზიით კატეგორიულად მოითხოვს: **„შესრულებულ იქნეს 1 მაისის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება (ოქმი № 38) და კენჭისყრის გარეშე მომეცეს დიდი, სამოთახიანი ბინა. აგრეთვე, როგორც ომის მონაწილე ქალს — IX სართულზე I სადარბაზოში“.**

მისცეს! დააკმაყოფილეს „ომის მონაწილის“, „ვეტერანის“ ყველა სურვილი!

და, აი, ახლა იგი დიდი ბინის მფლობელია, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდება და კალინინის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ არასაცხოვრებელი ფართის გამანაწილებელ კომისიას კიდევ ერთ განცხადებას ესვრის — **ძერჟინსკის ქ. № 19-ში (სადაც მას კანონის მიხედვით აღარაფერი არ დარჩენია) გამოთავისუფლებული მოქ. ნიკლაურის ყოფილი, საცხოვრებლად უვარგისი, ბინა სათავსოდ მომეცითო...** და, აი, 1980 წლის 16 აპრილის დადგენილებით სათავსოს აფორმებენ კიდეც. თანაც არა მისი შვილის — გ. თავბერიძის, არამედ ქ. ფირცხალაიშვილის სახელზე!

ქალბატონი ქეთევანი გაკვირვებულია მეზობლების შეშფოთებით, „შურიანობით“, და ავიწყდება, რომ მის მიერ თვითნებურად გაჭრილი კარის გამო კარის მეზობელი — გ. დარბინიანი — ხუთ წელიწადს ატარა სასამართლოს კარზე, ხოლო მ. აკიმოვა — შვიდ წელიწადს!

ვ. კახელიშვილი

სერგეი ფიხალკოვი

(იგავ-არაკი)

მაღალ მთებში აქვთ ბუდე არწივებს,
ალაპმა-უწყის, სად! —
ღრუბლებს მაღლა და ჭორ ჭიუხებში
არავინ იცის, რად!
როგორც წესი და როგორც რიგია,
იმავე კლდეზე, აქვე,
მშობლის ბუდეში იშრდება ლაღად
არწივისავე მართვე.
მტაცებლებს თავის წესი აქვთ —
არწივებსაც და ლომსაც —
არასოდეს არ წვრილმანდებიან,
სიდარბაისლე მოსავთ!
საიდან სად და, ეს რომ გაიგეს,
ბელურებმა თქვეს: „ჩვენც
არწივს ბუდეში ჩავუსახლდეთო!“
თქვეს და კიდეც ჰქნეს ეს.
განიერია არწივის ბუდე,
განიერი და დიდი —
არცა ბელურას გაუძნელდება,
ჰქონდეს ცხოვრება მშვიდი.
მოვა არწივი ნანადირევით —
სულ მუდამ შია მართვეს.
ჰოდა, ბელურას არც უნდა მეტი —
ნასუფრალს აქრობს წამსვე!..
მე შენ გეტყვი და, ეწყინოს არწივს,
„ხომ არ მოგცლია?!“ — გეტყვის.
მთავარია, რომ თვითონ სავსე აქვს
კუჭი და მეტს არც ელტვის.
„ან როგორ ითმენთ ასეთ მეზობლებს?“ —
არწივს შებედა დათვმა, —
„ჩვენ მესუფრიებს ვერ ავიტანდით,
სიმართლე რომ თქვას კაცმა!“
და თქვა არწივმა:
„რა მენაღვლება,
უბრალოდ, მხოლოდ ყურს ეამება,
რომ ყოველ დილით
გესმოდეს მათი „ჭიკ-ჭიკ“.

●

არიან ჩვენშიც. ასეთ ბელურას
არ შეხვედრიხართ, განა?!
კუდში სწვდები და მოჰყვება ჭყივილს:
„გიჩივლებ არწივთანა!“

თარგმნა **უნ-ბამ**

ნახ. გ. ფირცხალავასი



— თქვენს ლოდინში, ლამის არის, შიმშილით მოვკვდე!..
— მე, ბატონო, მხოლოდ დანა-ჩანგლის მოტანა მევალება, შეკვეთას სხვა მიიღებს!..

კიკლი-კიკლი კიბესა!...

მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 82) კედლის გაზეთი **„მცენარეთა დამცველი“**, ძირითადად, იმით ასრულებს თავის მოვალეობას, რომ ყოველთვიურად გამოდის. თუ როგორია მისი იდეურ-მხატვრული დონე, ეს „ნიანგზე“ უკეთ იციან ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა **ოთარ ქუფარაშვილმა** და გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ. ასე რომ, ამ საკითხზე ნიანგი პირში წყალს იგუბებს. მაგრამ გასული წლის ნოემბერში თუ რა ფოკუსიც მოხდა აქ, „ნიანგს“ კი არა, ალბათ, იგორ კიოსაც გააკვირვებდა: გაზეთის ბოლო კუთხეში გამოქვეყნდა ერთსტროფიანი ლექსი „კიკლი-კიკლი კიბესა!“ ლექსში ლაპარაკი იყო ინსტიტუტის ეზოში ასასვლელ სახიფათო კიბეზე. (თოვლიან ან ყინვიან ამინდში ამ კიბიდან ადვილი შესაძლებელია ნებისმიერი საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში, ფსიქიატრიულშიც კი მოხვდე!..). ხუთი დღის შემდეგ კი არავისთვის საკინკლაო „კიკლი-კიკლი კიბესა!“ უკვალოდ გაქრა, ხოლო მის ადგილზე მიწებებული აღმოჩნდა ვარსკვლავითა და თაიგულით მოხატული სადღესასწაულო მისალოცი ბარათი!..

გაზეთის რედაქტორმა **ლ. მშვიდობაძემ** მშვიდად და მშვიდობიანად მიმოიკითხა, ეს ფოკუსი ვისი ნახელავიაო?! სარედაქციო კოლეგიის წევრებმა **თარაშვილმა, ქოიავამ, კუპრაშვილმა, ხუსკივაძემ, ბაზერაშვილმა** და **ჩხუბიანაშვილმა** ჩხუბი და კამათი ატეხეს — ვინ გაბედა მასალის შეცვლა და გაზეთის გამასხარავებაო?!

მე გავბედეო! — ბრაზისაგან სახე მოქუფრა პარტბიუროს მდივანს **ოთარ ქუფარაშვილს.**

რატომაო?

იმიტომაო, რომაო, ჩემდა დაუკითხავად და ჩემთან შეუთანხმებლად უშვებთ კედლის გაზეთსაო!..

ამ ამბის შემყურე სიცილში დაბადებული ნიანგი კვდება სიცილით — განა პარტბიუროს მდივნის სუსტი მუშაობის ბრალი არ არის, თუ ბიურო სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგიის საქმიანობას და მასთან შეუთანხმებლად უშვებენ გაზეთს? მაგრამ თუ გაზეთი მაინც გამოვიდა და კედელზე გაიკრა, არავის არა აქვს მისი შეცვლა-გადაკეთების უფლება! (მით უმეტეს, — კრიტიკული ნერილის შეცვლა, თან — არალეგალურად!).

პატივცემულო ოთარ!

რადგან თქვენი ინსტიტუტი, ცოტა არ იყოს, ძნელი მისაგნებია, თან იმ კიბეზე ნიანგმა, შეიძლება, მართლა მოვიტეხო კისერი, აღარ ვაპირებ თქვენთან ამოსვლას და იმის გარკვევას, თუ სად არის ძაღლის თავი დამარხული! — ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით და მომავალში კედლის გაზეთის საშუალებით ნულარ გააცინებთ შინაურებს!

პატივისცემით — თქვენი ნიანგი

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ბიზო ზარნაძე

უსნოები ქურნალისტის ჩანაწერები

1980 წ. 1-ლი იანვარი. ზუთშაბათი. თბილისში თბილი, სპორველმანი. ამინდია. ტელეფონებალლოდ ვიყიდე, ცოგები გოგოლოს და ბოლოსთვის. ლოლთ კი მეკვლესაკენ მომადგა დეპეშაში დაქტორებელ: „ინ ტუბი (ალბათ, ფრინ „ცალ" ალია. გ. ბ.). პერესტანდ ოგალაშატ ზაპისკი ზაპიიტანია ატ ოლოუჩრიშ ვოსკლიიკატელნი ზნაკ".

ზოლო ფუბელის, როდესაც ჩემი ქალბატონი გაყინულ ინდაურს ლბობდა, ტელეფონი „ეკრიალდა (ხმალაბობებით): „ამაწვილო, ნერჩენებისგან თითო მანეთად ნაყიდი ჩლიქები და ფაშეფული მომავალ ახალ წელსაც სულ ოთხ-ოთხ მანეთად შემოვაკეთიდება ბაზრის ეასბებს ხელში; ცხვრის ყველი, მიუხედავად ამისა, რომ სახელმწიფო ფასი ხუთი მანეთი გახდა, არც აწი გამორჩნდება მაღაზიებში, რადგან ბაზარზე 12 მაქ. ღირს. (12-5=7. აფ. იფ!); შაროს ფეგნილიც კვლავ უხეიროდ იქნება შეფუთნილი, რათა ეონაში დანაკლისი დაანეკვან დაბრალლეს. რაც შეეხება ამას, რაც ოქვენ გადაგხდომოათ ფოთში, ეარეს ბალგარეთ ინშო! ეკრეკრობით ნერვებს მოგიშლით, მერე— ტალეფოგონს, ბოლოს კი..." (ტუ-ტუ-ტუ!..).

პირველს კი ბანნი ძაიწეეს — ნერეკვების მოშლას! ტელეფონთან ფეხ- არ ჩაუვიდა. ახალი ნომრით შეკეცალ — 98-00-5/6.

გოგოლოს სულ ცოგები აეკია ენაზე, აჩოლს მანდარინი. იღბლად, ქეკეს მანდარინია ეწელ! გოგა ეკეე მეზუთეკლესეეია: ფასანაურის საგზერი ვერ გაკუბლოფორთე და ზეგ დეიდაჩემის მაზლის მეაბალთან მემაკეს პირველი ცოლის მბრივ.-ასკანაში. თოვლი ქეკეს იქნება-მეთქი და გაეზარდა. ბათემატიკაში ვიკარჯაშე ნასადილეკეს. შეეედგენე პატარა ამოცანა: „თუ ვაკეში მიმავალი ავტობუსებისა და ტროლეიბუსების საერთო რიცხვს გავეოფთ ს ა ბ ე ბ ი ს ა ლ ი ს ა და დიდმა მასივის მიმართულებით მიმავალი ამავე ხაჩეობის ტრანსპორტის საერთო რიცხვზე, მივიღებთ მე-4 მარშრუტის ავტობუსების რიცხვს.

რას უდრის უკანასკნელის რიცხვი, თუ ს ა ბ ა ვ ო ლ ი ს და დიდის მიმართულებით ე რ თ საათს და ც ა მ ე ტ წუთში 2 ავტობუსი და 1 ტროლეიბუსი დახიგინებს?

პ ა ს უ ხ ი: ჩვეულებრივ დღეებში — 2-ს, დაკრძალვის დღეებში — 1-ს.

ბაკშეს გაჭრეკეტელი „სამანი" დაკეწერე. გაბრაზებულმა ახლა ოვითონაც დამაყარა შეკითხვები:

1. დღით დედაკომ ხუთი „ბორჯომის" ბოთლი გამატანა მაღაზიაში ჩასაბარებლად. დეიდა-გამეიდეკელმა 50 კაპ. მომეცა. შუადღისას წამალზე გამიშვა აფთიაქში. ჭურეკელი არ ბეკვკსო და ამავე მაღაზიაში შეეედი ბოთლის ნაყიდლად. 12 კაპიკი გადამხდეკინა დეიდაგამეიდეკელმა ჩემსავე ბოთლში. რატომ ღირს 0,5-ლიტრიანი ბოთლი ღღლით 10 კაპ., შუადღისას კი — 12 კაპ.?

2. ვიყიდე ტელეფონის ნომრების ჩასაწერი ბლოკნოტი, რომელიც ენგურის ქალალდის კომბინატს გამოუშვია ზუგდიდში; რუსული ანბანით იყო გაწერილი. ვიყიდე მეორეანირი, ისიც რუსულანბანანია (ტელეი ბაკშეისაა.).

რატომ არ გამოდის სატელეფონო ბლოკნოტები ქართული ანბანით?! ბოლოს და ბოლოს, ახო K-ზე ალარ დამეტია ამდენი კაპანაძე, ქათამაძე და ეაფლანაძე!

3. კარგია, რომ დღლით, როდესაც შენ სამსახურში გეჩქარება და მე — სკოლაში, მეტროში სიმღერებიცაა და ორი ესკალატორითაც ჩავდივართ, რომ არ დაგვკვანიდეს, მაგრამ რატომ არ შეიძლება ახეკე მზიარული სიმღერები ელეიდეს და ორი ესკალატორით ამოვდიოდეთ ხალამოს, შენ რომ არ დაგვკვანიდეს?!

რ ე დ ა ქ ტ ი ო ნ ს ა ბ ა ნ ს: როგორც პუბლიკაციის ავტორმა განაცხადა, ბლოკნოტში უცნობ ეურნალისტს პასუხები არ უწერია. ვერ გეტყვით, პასუხი ვერ გაგიცა, თუ საჭიროდ არ სცნო. ამიტომ „ნიანგი" აცხადებს კონკურსს ამ პოეკვანილი ?მიანებისა და კითხვების პასუხებზე:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოკალაქეს, გასწორეკელად სკესნის, განათლების ცენზისა და რელიგიური შეხედულებებისა. განსაკუთრებით სასურველია, რომ კონკურსში მონაწილეობდნენ ვაჭრობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების, საგრანსპორტო გაერთიანებებისა და სხვა მოსამოსსავე ორგანიზაციების, უწყებებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

კონკურსში გამარკვევლეთა პასუხები გამოქკეეენდება „ნიანგის" ფურცლებზე.

ნ.ბ. ბ. ეეიანავეანი

— რამდენჯერ უნდა მითხრა, მოპარულ ფერმას ძალიმეპს სასლში ნუ მიიტანთ-მეთქი?!.

ეურეოკრული ქუთათური ამგეგი

ერთხელ გადამთვრალი მაკეანია ერთ ნაცნობს შინ მიადგა. მასთან კარგი ღვინო ეგულებოდა. მასპინძელი დაემალა, მაგრამ შეშბანდაში თავი ეანაცდა.

— დათია! — დაუძახა სტუმარმა.

ერთი ფეხით გაგამაწოთ, ჩემო ბატონო! — იკრუა მასპინძლის შეეულეკმ.

— მერე ფეხით გამოვიდეს, თავი მაგარ დარჩენია!..

●

— ბიჭო, მაკეანია, ეს ვაგონი რბილია თუ მაგარი?

— უკანე და ბეიგეკ!..

●

ერთხელ მ ა კ ე ა ნ ი სკოლის მერხის ამხანაგს ეწვია, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაეწინაურებინათ.

— შეიძლება, შემოვიდე? — იკითხა მოსულმა.

— შემოსული არა ხარ? — მიუგო დამხვდურმა.

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან მეჩქარება, მივდივარ, მითხარი, რაზე გარჯილხარ?

— მე ხომ მიცანი?

— გიცანი, მითხარი, მოკლედ მოკეური, რამ შეგაწუხა! — ეთხრა ყოფილმა თანაკლასელმა და საათს დახედა.

— არაფერი, გავიგე დაბრმავეებუოხარი, ვეღარავის ვეღარ ცნობ და სამსმარაზე მოვედი! — მიუგო მაკეანიამ.

●

— კოოპეკეერობა სადაა, ვერ მიგეასწავლო, მაკეანია?

— აგერაა, ბიძია, ბაზრათან რომ ბაზარია!..

შეკრიბა დავით ხუროძემ

მოადგილემ ი ფ ი ქ რ ა, ოფიქრა და, რაც მოპოვა, ძოძოვდესო, შებმედა დირექტორს:

— ძალიან გრძელი თათბირებ ეატარებთ, უფროსო! მობეზრდა ხალხს ეს გრძელი და ხმირი თათბირება! თათბარი, როგორც ძველ ბერძნები იტყ- ნენ, ი ფ ი ა ი ა ი უ ნდა იყოს, ხაქმიანი და მოკლე!.

— მართლადაც, რა გრძელ თათბირებს ეატარებთ! — ი ა ი ლ ა პ ა რ ა, „ დირექტორმა და თუმცა ხმამაღლა დაეთანხმა მოადგილის, გუნებაში კიდეკ უფრო შეეეულდა ეგი, რადგანაც დირექტორებს არ უყვართ საერთოდ, როცა მოადგილეკნი ნაკლნეკ მეუთოთებენ.

გადაწყდა და, ერთი კეერის შემდეგ მოიწვიეს კიდეკ თათბირი, რომელსაც გრძელი თათბირებს: თეის ხაბოლოო განარჩენ უნდა გამოეტანა.

თავმჯდომარემ თავის შესავალ სიტყვაში ეკერ საერთაშორისო ვითარება დაახასიათა, მერე გაეეთანაება „ჩიტის კეერეკში" მიმდინარე ამბების შეეხო დ, როდის-როდის, გამოაცხადა: — დღეეანდელ თათბირის დღის წესრიგშია ერთი საკითხი: „**აბაჭანურებული და უსაქმო თათბირების შესახებ ა/წ 3 მაისის დადგენილების — ამხანგ მალაქია სანდუხაძის ინტერვიუ და ჩვენი ხალდეისო ამოცანები**" — მიმდინარეობისა და **შესრულების შემოწმების და აქედან გამომდინარე გრძელი თათბირების მაზანშეწონილებისა და საჭიროების შეფასების განსაზღვრის თაობაზე მოეეემული ხალიქტივო მითითებების ცხოობებში გატარებისათვის".** ეინ არის! მიმხვე, დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით?

გაიარკვა, რომ წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცების მომხრე ყველა იყო, წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდა, თავიც არავის შეუკავებია.

— მომხსენებელი მოითხოვს საათსა და თხუთმეტ წუთს, სიტყვაში გამოსვლელებისათვის — ათი წუთი, განცხადებისათვის—ხ

ი წუთი! — გამოაცხადა თავმჯდომარე-დირექტორმა.

აქ კი ცხოველი კამათი გაიმართა. ერთნი ამბობდნენ, მომხსენებლისათვის ერთი საათი საკმარისაო და ასაბუთებდნენ კიდეკ. მეორენი ! გამომსვლელებისათვის, ათი წუთის ნაცვლად , თხუთმეტ წუთს მოითხოვდნენ და ამ მოთხოვნას საკმაოდ ლოგიკური არგუმენტებით ამაგრებდნენ, მესამენი განცხადებისათვის ოთხ წუთს მოითხოვდნენ, მაგრამ არ ასაბუთებდნენ. ამატომაც მესამეთა წინადადებაზე ეეერი არ უკამათიათ, პირდაპარ მიიღეს.

— საათი და თხუომეტი წუთი!— არ თმობდნენ პ-ზ-ზ-ელის დირეკტორი და მომხსენებელი.

— საათი! — კაპეკერონდენ გრძელი მოხსენების მოწონაადმდეკენი.

— სიტყვაში გამომსვლელებს ათი წუთი! — ასეთი იყო თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფის ფორმულირება.

— თხუთმეტი! — კატეგორიულად მოითხოვდნენ თათბირის ხხვა მონაწილენი.

ამ კამათში ზუსტად საათი და თხუთმეტი წუთი გავიდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ ამგვარ რეკლამენტზე: მომხსენებელ! — ერთი საათი, სატყვის თქმელს! — ათი წუთი, განმცხადებელს — ოთხი წუთი.

მომხსენებელმა მოიხსენიას კითხვა დაიწყო. ერთი საათი რომ გავიდა, ვიღაცამ დაიძახა:

— რეკლამენტი!

მომხსენებელმა გადათვალა მოხსენების დარჩენილი ფურცლები და ეშვიდად, აუცილებლად თხუთმეტი წუთი მოითხოვა.

დირექტორი წამოდგა:

— ამხანაგებო! მომხსენებელი დამატებით მოითხოვს თხუთმეტ წუთს! როგორი იქნება თქვენი აზრი?!

აზრს სიჭრელე ეტყობოდა: ერთნი მოითხოვდნენ, უარი ეთქვათ მომხსენებლისათვის; მეორენი ამტკიცებდნენ, შეიდ წუთში ჩატაროსო; მესამენი გულუბრაზას ინენდნენ და ჩვიდმეტ წუთს უმატებდნენ. იყვნენ თერამეტის მომხრენიც!..

ცხოველი კამათი გაიმართა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში საათი და თხუთმეტი წუთი გავიდა.

სიტყვა მიეცათ მოკამათეებს.

რეკლამენტში, რა თქმა უნდა, ეერავინ ეტეოდა, გონკის ხმაზე შეჩერდებოდა ორატორი და დამატებით სამ წუთს ითხოვდა, ზუსტად შვიდ წუთს გრძელდებოდა კამათი სამ შესახებ, ძიეცათ თუ არა მოკამათეთისათვის სამი წუთი.

განცხადებებისა და, მით უმეტეს, რეზოლუციის პროექტის წაკითხვისათვის, დრო ალარ დარჩათ!..

ღამის პირველ საათზე სახანძრო დაცვის მორიგემ კატეგორიულად მოითხოვა შენობის დაცლა სამ წუთში!..

არა ჩვეია

მოკამათენი

ეუნი ამოიდა და ფიქრობდა

შემომეგება მეუღლე,
ხელში ეჭირა ბარათი:
„აბრეა! სად ხარ მთელი ღღე?!
ღღეს დღეობა აქვს ალათის!"
ხელდასამეგრად უმალვე
წიგნი მიეცა-ალასი.
არ ქნა, მეაროდ ალეკვე
ბუზლეკნოთ და „ალასი"..
დავამშვიდე და ამეკერად
„ბუდიანშეილი" მივართვი!
გაბერა, არც იმას დამეკერდა!..
(უცოლოდ ყოფნა ვინატრე!..)
ბოლოს ეარდები ვაჩვენე,
ძვირფასი, ბაზარს ნაყიდი!..
გაეწბილდი!.. ვერ შევაწერე,
გაეწერეულდი და ავტორი:
„ეალო! ტკბილ ოჯახს რად მინარეკ?!
რა ვინდა-მეთქი?!" — ავბღავალდი.
ფული მთხოვა და ვერ მივეეე,
ფულებში ცურავს ალათი!..

ალეკო გეგია
(ქ. ქუთაისი)

ნ.ბ. ი. ეეინაშვილისა

ესიმყვიდ

„ი ე ღ ბ ლ ი"

მართალია, ენიკო იყო, მაგრა. სხვების ჯიბრზე, საშუალო სკოლა ოქროს მედლით უნდოდა დამთავრებინა და... ეერტლის მედალი ძლივს გაახერხა!

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ინჩინენი ან ეკოდა, ცოდნასა და განათლებასთან მუშაოალად იყო, მაგრამ მაინც კათედრაზე უნდოდა ლაბორანტად დარჩენა და... ასპირანტურაში მოეწყო!

მეცნიერებათა დოკტორის ოფიცა სურდა და... კანდიდატობა იკმარა!

კომფორტული ბინა ეერაზე მოინდომა და... პეუხანოვზე მიიღო ურიგომ!

ავტოკეი მანცდამაინც წყნეთში სურდა აეშენებინა და... კოკორაში წამოეჭიმა ორსართულიანი სახლი!

ცინცხალი „გაზ-24" ეცინმრცოდა დოდაღიან და... „ეიგულო!" შეაგორა უნებარათოდ ამენებულ თავის გარაჟში!

ფულიანი, დიდმამიანი ქალი უნდოდა შეეერთო და... მეცნიერ-თანამშრომელს დასეკრთ!

დირეკტორობაზე ოცნებობდა და... მოადგილის ადგილი უბრძოს!

და მაინც — ალაფერში არ მიმართლებს, უიღბლო ეარო, გაიძახის!

ვანო ცინცაძე

ჩვენი სტუმარია 50 წლის ნოდარ შამანაძე

მე ჩემს შესახებ

მეგობრული შარჟი თ. გოგოლაძისა

საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის შვიდწლიანი სკოლის პირველ თუ მეორე კლასში ვსწავლობდი, პირველად ნიანგი რომ გავიგონე. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და ერთი ჭაღარა გლეხკაცი რაღაც საქმეზე კამათობდნენ. ბოლოს ამ უკანასკნელმა მუქარით გააფრთხილა: **ჭკუას მოუხმე, თვარა ნიანგს მივაკითხავთ და მერე ნახე, რაც მოგივაო!** მთელი დღე გაკვირვებული ვფიქრობდი: **ნეტა, ვინაა ეს ნიანგი, თავმჯდომარე რომ შეაშინა და ხმა ჩააკმენდინა-მეთქი?!**

არგვეთის საშუალო სკოლაში რომ განვაგრძე სწავლა, კედლის გაზეთის რედაქტორად ამირჩიეს. მასალებს არავინ მაწვდიდა და ყველა წერილს მე ვწერდი. ვცდილობდი, იუმორი და სატირა გამომეყენებინა, რათა მკითხველთა ყურადღება მიმექცია. განსაკუთრებით მოეწონათ ერთი წერილი, ოროსან მოსწავლეებს რომ ეხებოდა. თვით ოროსნებიც კი იცინოდნენ!.. ავდექი და, ეს წერილი „ნიანგს“ გავუგზავნე. პასუხმაც არ დააყოვნა — პასუხისმგებელი მდივნის პოეტ **სიკო ფაშალიშვილის** ბარათი მივიღე: **შენი მასალა მხატვრულად სუსტია, არ დაიბეჭდება, მაგრამ გული არ გაიტეხო, ჩვენც ასე დავიწყეთო!..**

1950 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, ახალგაზრდა მწერალთა კონფერენცია რომ ჩატარდა. კონფერენციას „ნიანგის“ მაშინდელი რედაქტორი — პოეტი **კარლო კალაძე** თავმჯდომარეობდა. ჩემი ლექსები რომ მოისმინა, რამდენიმე მათგანი გადამაწერინა და რედაქციაში მიმატანინა. სულ მალე კიდეც გამოაქვეყნა ჟურნალში. ამის შემდეგ „ნიანგში“ სისტემატურად ვთანამშრომლობ. „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოვეცი **„ძალა სიყვარულისა“** და **„ჩვენებური ქორწილი“**. წელს გამოდის კიდევ ერთი კრებული — **„მოტაცება“**.

„ნიანგისათვის“ მასალას რომ ვამზადებ, ყოველთვის მაგონდება ჟურნალის ყოფილი მთავარი რედაქტორის — **ნოდარ დუმბაძის** სიტყვები, ერთხელ ღიმილით რომ მითხრა: **„ძამა, ნიანგი კამეჩი კი არაა, ბზე და ჩალა-თივა რომ ჭამოს, ხორციანი ულუფა უყვარს, ხორციანი!“**

1953 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გერმანული ენის განხრით. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ორ წელიწადს ვმასწავლებლობდი. 1959 წელს შევედი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული ფოლკლორის სპეციალობით. 1964 წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1962 წლიდან ვმუშაობ ხსენებული ინსტიტუტის ჯერ უმცროს, ახლა კი— უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მომავალში — ვნახოთ!

უფრო დაწვრილებითი ავტობიოგრაფიული ცნობებისთვის მომმართეთ მე.

ქვემოთ დაბეჭდილი ლექსები **ჩემია**, მისი ილუსტრაციები — **ჯემალ ლოლუასი.**

თქვენი ნოდარ შამანაძე

ნაცნობთა პორტრეტები

I

მშობლიური რაიონის
წამყვან კაცად ითვლებოდა!
ფულს ეტრფოდა!.. იმის ხელში
ბევრი ფული ითვლებოდა!
კრებებზე სხვებს აწითლებდა,
თვითონ სულ არ წითლდებოდა!
თალა, თალა, ბევრი თალა,
თალა, სანამ ითლებოდა!..
სინდისის ხმა რომ გაისმა
და ამინდი შეიცვალა,
ჯერ — მის მფარველს, მერმე — მასაც
უცებ ხელი მოეცარა!
მოხსნეს!.. მაგრად ჩაუკეტეს
გამდიდრების გზა იოლი!..
ისიც ადგა, მიატოვა
მშობლიური რაიონი!..
ეზო-კარი სოფლად კვლავ აქვს:
ბაღი — დიდი, სახლი — დიდი,
ოღონდ ხალხში ვეღარ ჩნდება
ღამით მოდის, ღამით მიდის!..
თითქოს მშობელ რაიონში
აღარა აქვს შესვლის ნება!
კიდევ კარგი, მორცხვი გახდა,
ამ ბოლო დროს ერცხვინება!

დიასახლისად არ ვარგა,
სიზარმაცე აქვს ხუნდებად,
მიტრიალ-მოტრიალებას
მთელი საათი უნდება!..
შინიდან გავა თუ არა,
იჩქარის, როგორც მთის შველი!
ლოგინში იცვამს გრძელ პერანგს,
ქუჩაში დადის... შიშველი!

III

მე ერთ კაცს ვიცნობ,
ისეთი კაცი — მტერს! --
რომ მოინდომოს,
ყურით მოიყვანს დევს!
უმოქმედოა,
მინდობილია ბედს,
სახლი ეწვოდეს,
არ გააქანებს ხელს!
დგება და — მკვდარს ჰგავს,
წვება — ლეშივით დევს!..
მე ერთ კაცს ვიცნობ,
ისეთი კაცი — მტერს!..

IV

იყო და არა იყო რა,
იყო მსუნაგი კიკოლა,
სჩვეოდა ფულის მოხვეჭა,
სვავის მადაზე იყო რა:
რასაც კი ხელი მოჰკიდა,
სულ სახლში წამოიყოლა,
გამართა აგარაკები
და „ვოლგაც“ არ დაიყოვნა!
ცოლი აავსო ოქროთი
და საყვარლებიც იყოლა!
უყვარდა ქეიფ-ღრეობა,
დოსტების მოყოლ-მიყოლა!
ჭამა და ჭამა, მუცელი
მგელივით ამოიყორა!..
გაუმაძღრობამ იმსხვერპლა,
სიხარბემ გადაიყოლა!..
იყო მსუნაგი კიკოლა,
იყო და არა იყო რა!..



სასარგებლო რჩევები

● **კვალის** დატოვება თუ გინდა, გაკვალული გზით ნუ ივლი!

● **კარგია**, თუ იცი, რა უნდა თქვა, მაგრამ უკეთესია, ისიც თუ იცი, როდის თქვა და სად!

● **მზითევს** უცებ ბევრს ნუ მოითხოვ: დასაწყისში საკმარისია... სამოთახიანი ბინა!

● **თუ** გინდა, საკუთარი ნერვები წესრიგში გქონდეს, გაუფრთხილდი... სხვის ნერვებს!

● **წლებმა** თავისი წაიღონ, მაგრამ ეცადე, შენი არ გაატანო!

● **უსაქმურობას** თუ პროფესიად გაიხდი, კვალიფიკაციის ამაღლებას მაინც ნუ ეცდები!

● **თუ** ხელქვეითები ყველაფერში მშვიდად გეთანხმებიან, მშვიდად ნუ დაიძინებ!

● **მეზობელი** თვალის სინათლეა, მაგრამ, დროდადრო, თვალი გააპარე მისკენ, ფანჯარასთან კედელი არ ამოგიშენოს!

● **თუ** არავის დაუჯერე, ვერაფერს გააკეთებ, მაგრამ ვერც იმით გააკეთებ რამეს, თუ ყველას დაუჯერე!

● **ჯამაგირი** მთლიანად მიიტანე სახლში და ჩააბარე ცოლს... ნახევარი!

● **სადისერტაციოდ** ტვინისწამღებ თემას ნუ აიღებ, თორემ უტვინოდ დარჩები!

● **თუ** გითხრეს, სანთელივით კაცი ხარო, სანთელივით ნუ დაიღვენთები!

● **თუ** ისეთი საჩუქარი ვერ იპოვე, რომ გააკვირვო ის, ვისთანაც ხარ დაპატიჟებული, მიდი უსაჩუქროდ, — ამაზე გასაკვირი და დასამახსოვრებელი არაფერი იქნება!

● **სიყვარული** თუ თავისით მოდის და თავისით მიდის, შენ რისი მაქნისი ხარ?!

● **ღვინის** სმაში ნურავის შეეჯიბრები, თორემ გამარჯვება, შეიძლება, მიქელგაბრიელმა მოგილოცოს!

გიგლა გახტაძე

ნახ. ა. კანდელაკისა

პარკეტომანია

ნახ. კ. ბედოშვილისა

მიხაკს ცეცხლი უკიდია!..

დაკაბიჯებული ქორვაჭრის ჩივილი

ნარზე ვგდივარ, როგორც ლეში,
რა ვქნა, გატყდა იხტიბარი!
მდის თვალთაგან ცრემლის თქეში! —
ჩამიკეტეს საკნის კარი!

მე არ ვყიდდი არაყს, შაჭარს,
პურს, ლობიოს, ხახვს და სიმინდს!..
წინ ვუსწრებდი ყველა „ვაჭარს“,
გეფიცებით კაცურ სინდისს!

ყველა მხრიდან ნარამარა
მომდიოდა „პაკეტები“,
და სკივრებში სულ მეყარა
სვიტრები და ჟაკეტები!..

მეღლებოდა მე იღლია!..
ვჩალიჩობდი ქუჩა-ქუჩა!..
მილიციამ მომაკვლია,
ხასიათი გამიფუჭა!

მიტომა მდის ცრემლის თქეში,
საკანშიაც მიტომ ვხვნეში!..
აღარც — ფული საფულეში,
აღარც — გული ხაგულეში!

ტარიელ ჩარქსელიანი
(ქუთაისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 4 (1590) თებერვალი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

●

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბაბუა ამირეჯიბი
ნომადი ბართაია
ბორის გურგულია
ნოდარ დუმბაძე
რევაზ თვარაძე
ჯემალ ლოლუა
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი)
ბექან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე სამსონია
გიგლა ფირცხალავა
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წივწივაძე
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)
ნაფი ჯუსოითი

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
20.1.81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
27. 2. 81 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
საალრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 178. უე 00633.
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.
ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

შ ა ვ ი ქ ო ლ გ ა

(პოლიტიკური ფელეტონი)

7-81

ნახ. მ. აბაშიძისა

ძველი მითის მიხედვით, მშვენიერი ევროპა მეხთამტყორცნელმა ღმერთმა ზევსმა მოიტაცა. ევროპას სამი შვილი ეყოლა მისგან და თავისთვის ბედნიერად ცხოვრობდა.

მითი იმასაც ამბობს, რომ ზევსმა პრომეთეს ძმას, ბუმბერაზ ატლანტს, ცის თაღის მხრებით დაჭერა უბრძანაო. ალბათ, დიდი ღმერთი, პირველ რიგში ევროპის უშიშროებაზე ფიქრობდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ატლანტი კვლავაც ატლანტად დარჩა, ევროპა კი მჭიდროდ დასახლებული კონტინენტია.

ატლანტს არ უჭირდა მხრებით ცის დაჭერა, მაგრამ როცა ევროპის ცამ — ხან აქ, ხან იქ ზარბაზნებისა და ბომბების ბათქით შეზანზარებულმა — ნგრევა იწყო, ბუმბერაზმა აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, ხომ არავინ შემომეშველებაო. მაშველიც მალე გამოჩნდა: დევგმირის ტანი ჰქონდა და თავზე წითელვარსკვლავიანი მუზარადი ეხურა!..

1945 წელს ისევ გადაისარკა ევროპის ცის თაღი, ატლანტმა შვებით ამოისუნთქა.

1949 წელს ძია სემმა (ბოდიში, სემმა) დაადგა თვალი ატლანტს და მაჭანკლების პირით შეუთვალა: ქალს შეგრთავ, ტვირთის ზიდვაშიც შემოგეშველება და მხრებშიც გაგმართავსო.

გარიგება იმავე წლის 4 აპრილს მოხდა და ძია სემის უკანონო ქალიშვილი ნ ა ტ ო, როგორც ევროპის სარძლო და ატლანტის საცოლე, ხმელთაშუა ზღვაში გამოჩნდა შეიარაღებული მაყრიონის თანხლებით.

არავის ეგონა, თუ ძია სემი თავის უკანონო შვილს ამდენ მზითევს გამოატანდა: აქ ნახავდით ყველგანმავლებს, ტანკებს, ჰაუბიცებს, ზარბაზნებსა და თვითმფრინავებს, სხვასა და სხვას, რაც, ცხადია, გათვალისწინებული იყო ახალშეუღლებულთა საქორწინო მოგზაურობისა და გართობისათვის.

ამ დინასტიური ქორწინების — ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილეებს — ინგლისს, საფრანგეთს, ბელგიას, დანიას, ნიდერლანდებსა და სხვებს მომავალში უფრო მეტი განცვიფრება ელოდათ: 1955 წელს ნატომ კვლავ მიიღო თავისი უკანონო მამის ძვირადღირებული საჩუქრები — სხვადასხვა ყალიბის ტაქტიკური იარაღი. ეს მოდური ცეცხლმსროლელი სათამაშოები ნატომ, პირველ რიგში, დასავლეთგერმანელ სამხედროებს დაურიგა და მერე — სხვებს.

სათამაშოების დარიგებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ნატოს მაზლები — სენტო და სეატო, რომლებიც კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულნი.

1957 წელს ევროპის ეს თავნება და საშიში რძალი კვლავ ახალ საჩუქრებს იღებს ძია სემისაგან, უხვად ურიგებს ევროპის შვილებს და მომხიბლავი ღიმილით ატყუებს გულუბრყვილოებს, ბალისტიკურ რაკეტებს — ამ წვერწამახულ ვეება ფანქრებს ცაზე ცეცხლოვანი ცისარტყელების გავლება და ცის თაღის გამაგრება შეუძლიათო.

ძია სემი კიდევ უფრო მეტად ანებივრებს ევროპაში გათხოვილ თავის ბუშს; თვით ევროპის კონტინენტზე და მის ახლომახლო ტერიტორიებზე მისთვის სამხედრო ტექნიკით კეთილმოწყობილ აგარაკებს აშენებს! მერე რა ვუყოთ, რომ სახმელეთო, საზღვაო ბაზები და პოლიგონები ჰქვიათ?! იქ მომსახურე სამხედრო პერსონალი თვალებში შესციცინებს ნატოს, მზადაა შეასრულოს მისი ყოველი კაპრიზი.

ნატო ბედნიერია, ოღონდ ერთი რამ ვერ აუტანია: მისი აგარაკები საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ირგვლივაა განლაგებული და არა მათ შიგნით! ჭირვეულობს ქალბატონი — იქით იშვერს ხელს!

1979 წელს ძია სემმა ჩრდილო ატლანტიკის პაქტით შეუღლებულებს ოქროს ქორწილი გადაუხადა 30 წლისთავზე. ოქრო არ დაუშურებია, კვლავ ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა თავის ბუშს — ახალი ამერიკული ფრთოსანი რაკეტები. ეს იმ შავი ქოლგის ტარებია, რომლებსაც ოკეანისგაღმელთა ენაზე მეტად პოეტური სახელი „ატომური სოკო“ ჰქვიათ.

დიახ, ამ შავი ქოლგით აპირებს ნატო დაეხმაროს ატლანტს ცის დაჭერაში! რა იცის ატლანტმა, ან თუნდაც ევროპამ, რომ ამ კვამლიან, შავ ქოლგას ცის დაფარვა კი არა, თვით მზის გაქრობაც შეუძლია!..

ამას მაშინ მიხვდებიან, თუ ნატო გაჭირვეულდა და სცადა გაშლა შავი ქოლგისა, რომელსაც ომისგამჩაღებელთა ენაზე „პოეტური“ სახელი — „ატომური სოკო“ ჰქვია!..

არდაინდო არდაშენია